შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/03/14-008
14-03-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,ყაზბეგი 47,,-ის დირექტორს
ქალბატონ თამარ არაბიძეს
(ს/ნ 204538599)

ქალბატონო თამარ

თქვენი 2024 წლის 6 მარტის N02/03 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ ტერიტორიაზე (თბილისი, ყაზბეგის გამზ. #47 (ნაკვ. 35/4) ს/კ01.14.03.035.004) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი’’-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 595 108910: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი.
შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

Classification: MAGTICOM Confidential



MAGTICOM მაგთიკომი

შპს "მაგთიკომი"

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ბიორგი ზაქაშვილი

თარიღი: 3/7/2024

====== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0318/460/24

18/03/2024

შპს ,,ყაზბეგის 47"-ს დირექტორს

ქ-ნ თამარ არაბიძეს

თქვენი 07.03.2024 #0307/148/24 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთს (ს.კ.01.14.03.035.004) კვეთს სს ,,თელასის" კუთვნილი ელ.გადამცემი ხაზები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილე-ბის ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს ,,თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს ,,თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)